ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2485970

ნომერი: AR1383078

თარიღი : 03.03.2016

გაცემის თარიღი : 18.03.2016

გაცნობის თარიღი : 18.03.2016

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი) ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – ჩილერის დანადგარების მოწყობის სამუშაოების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ინგოროყვას ქ. N5–ში ჩილერის დანადგარების მოწყობის სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; რეგისტრაციის N 882014470669, 05.09.2014 წ. საკადასტრო კოდი N01.15.05.067.004; შ.პ.ს. "GEOWATT"–ის 29.02.2016 და 02.03.2016 წლის წერილები; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი, ესკიზური პროექტი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ინგოროყვას ქ. N5–ში ჩილერის დანადგარების მოწყობის სამუშოების განხორციელების შესაძლებლობას.

დაევალოს დამკვეთს, გადაწყვეტილების გაცნობიდან 30 დღის ვადაში წარმოადგინოს. საპროექტო ჩილერების საერთო ხმაურის დონის შეფასება. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე აქტი ითვლება ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლის დღიდან.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.